ნიკოლოზ ქაჯაია
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, თსუ
nikoloz.kajaia877@hum.tsu.edu.ge

მეორე იმპერიის კრახი ადოლფ ტიერი და ლეონ მიშელ გამბეტა – წინააღმდეგობის ორი გზა

საკვანძო სიტყვები: ადოლფ ტიერი, ლეონ მიშელ გამბეტა, ნაპოლეონ III, მესამე რესპუბლიკა, ბისმარკი, საფრანგეთ-პრუსიის ომი, მეორე იმპერია

Keywords: Adolphe Thiers, Leon Michel Gambetta, Napoleon III, French third Republic, Bismarck, Franco-Prussian war, Second Empire

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდაქმნების დამაჩქარებლად გვევლინება. საკუთრივ დასახელებული სამხედრო კონფლიქტის საბედისწერო შედეგები, ერთი მხრივ, მეორე იმპერიის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში გამოჩენილმა ქედმაღლობამ და, მეორე მხრივ, ქვეყნის საშინაო საქმეებში ხელისუფლების მიერ წარმოებულმა რეაქციულმა პოლიტიკამ გამოიწვია. საფრანგეთის სრული სამხედრო მარცხის მიუხედავად, აღნიშნულმა დაპირისპირებამ სათავე დაუდო სახელმწიფოს იმ საფუძვლებს, რომელთა ფასეულობებზეც აღმოცენდა თანამედროვე საფრანგეთი. პრინციპულ მეტოქესთან განცდილმა დამარცხებამ ფრანგ ერში, უპირველეს ყოვლისა, მესამე რესპუბლიკის სულისჩამდგმელი პოლიტიკური ელიტის უდიდესი ძალისხმევით, დაბადა არა მხოლოდ ემოციებზე აგებული რევანშიზმის გრძნობა, არამედ უბიძგა მათ პრაგმატული ღონისძიებების გასატარებლად, რამაც წართმეული ტერიტორიების დაბრუნებასა და დამცრობილი პრესტიჟის აღდგენასთან ერთად, საფრანგეთი კვლავ დააბრუნა ანგარიშგასაწევ სახელმწიფოთა პოლიტიკურ რუკაზე. მიგვაჩნია, ზემოთქმული შედეგის უმთავრესი შემოქმედები, ადოლფ ტიერი და ლეონ მიშელ გამბეტა იყვნენ. მართალია, მათი გზები მეთოდების თვალსაზრისით რამდენადმე განსხვავებული იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას ხელი არ შეუშლია საერთო მიზნის მიღწევისთვის. წინამდებარე სტატიის მიზანია გამოკვეთოს ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ბონაპარტისტული რეჟიმი მიიყვანა სრულმასშტაბიან პოლიტიკურ და სამხედრო ფიასკომდე, იმავდროულად, წარმოაჩინოს მეორე იმპერიის პირობებში წამოწყებული ომის რესპუბლიკური წინააღმდეგობის მოდელი. ვფიქრობთ, ნაშრომს გაამრავალფეროვნებს ქართული თემატიკის შემოტანა. ჩვენი აზრით, მკითხველისათვის საინტერესო იქნება თუ როგორი სარედაქციო პოლიტიკა გააჩნდა ქართულ პრესას საფრანგეთ-პრუსიის ომსა და ახალი რესპუბლიკის ლიდერებზე.

უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობთ, საჭიროა მიმოვიხილოთ ის უშუალო მიზეზები და გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომის გაჩაღებას. 1848 წლის რევოლუციის ტალღის შედეგად საფრანგეთში ჩამოყალიბდა მეორე რესპუბლიკა, რომლის პრეზიდენტადაც ნაპოლეონ I-ის ძმისწული, ლუი-ნაპოლეონი, აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდგომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოამჟღავნა სახელოვანი ბიძისთვის დამახასიათებელი ერთმმართველობისაკენ სწრაფვა, რაც მან ეტაპობრივად განახორციელა კიდეც. 1851 წლის 2 დეკემბერს დააპატიმრა ოპოზიციურად განწყობილი 80 დეპუტატი, რომელთა შორის ერთ-ერთი ადოლფ ტიერი გახლდათ, ერთი წლის თავზე კი თავი იმპერატორად გამოიცხადა[1]. თავდაპირველად ნაპოლეონ მესამეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით ჰქონდა ხელშესახები წარმატებები, რომელთა შორის სახსენებელია ყირიმის ომი, რომელმაც ახლადგამეფებულ ბონაპარტს სახელმწიფო ლიდერებს შორის საკმაო ავტორიტეტი მოუხვეჭა, მაგრამ ამის უკან იდგა მთელი რიგი დამაბრკოლებელი ფაქტორებისა, რომელთა გადალახვაც იმპერატორმა მიზნად დაისახა საფრანგეთის გავლენის გასაზრდელად. როგორც ჩანს, ნაპოლეონ მესამეს პირველ სერიოზულ წინაღობად ვენის კონგრესის მიერ დაფუძნებული წესრიგი წარმოედგინა. მიუხედავად იმისა, რომ ვენაში შეკრებილ სახელმწიფო ლიდერთა გადაწყვეტილებები არ იყო დამსჯელობითი ხასიათის მქონე (განსხვავებით ვერსალის 1919 წლის ზავისა, რომელიც გერმანულმა მოსახლეობამ როგორც დიქტატი ისე აღიქვა), პირადად ნაპოლეონისათვის ის შეიცავდა სრულიად მიუღებელ მუხლებს. „მეტერნიხის სისტემა“ ხაზს უსვამდა ლეგიტიმიზმის პრინციპის გაძლიერებაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეტ-ნაკლები მშვიდობის გარანტორი „საღვთო ლიგის“ ქვეყნების ფორმირებას და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული წესრიგი დაუშვებლად მიიჩნევდა საფრანგეთის ხელისუფლებაში ბონაპარტის შთამომავლების მოსვლას. ბუნებრივია, ძალაუფლების უზურპაციით გაიმპერატორებული ნაპოლეონ მესამე ვერ აიტანდა იმდროინდელ მონარქთა კოჰორტაში რაიმე სახით დამცრობილი ყოფილიყო. მართალია, მისი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ყველა დიდმა სახელმწიფომ ცნო, თუმცა მას მაინც აგრძნობინებდნენ არათანასწორუფლებიანობას. ლეგიტიმიზმის პრინციპის ეტიკეტის გათვალისწინებით, თითოეული მეფე ერთმანეთს მიმართავდა როგორც „ძმაო“. აღსანიშნავია, რომ პრუსიისა და ავსტრიის მონარქები ნაპოლეონ მესამისადმი მსგავს მოხსენიებას დასთანხმდნენ, თუმცა რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ I, მას მხოლოდ „მეგობარს“ უწოდებდა (კისინჯერი 2021: 128) ამას მოწმობს პარიზში ავსტრიის ელჩის, ბარონ ჰიუბნერის სიტყვებიც: „აქ [საფრანგეთში] მტკივნეულად განიცდიან კონტინენტის ძველ სამეფო კართა მიერ დამცირებას. ეს მატლი მუდმივად ხრავს იმპერატორ ნაპოლეონის გულს“ (კისინჯერი 2021: 128).

რასაკვირველია, ზემოთ დასახელებული არგუმენტი ნაპოლეონ III-ის ფსიქო-პორტრეტის შეფასების მხრივ ანგარიშგასაწევია, თუმცა მის მთავარ შეც-

[1] 1852 წლის 2 დეკემბერს. ნიშანდობლივია, რომ ნაპოლეონ პირველმაც იმპერატორის გვირგვინი თავზე 2 დეკემბერს დაიდგა. ამ დეტალითაც ნათლად ჩანს თუ როგორ სურდა ნაპოლეონ III-ს ბიძამისს დამსგავსებოდა.

დომად, რომელმაც ფატალური შედეგი გამოიღო მეორე იმპერიისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით მისი იმპულსურობა გვესახება. როგორც ცნობილია, იგი საკუთარ თავს კარბონარს უწოდებდა და ოპოზიციაში ყოფნისას ამ მხრივ ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილებაც გააჩნდა. იმპერატორი გულმხურვალედ თანაუგრძნობდა ევროპაში წამოწყებულ რევოლუციებს და ლიბერალური ნაციონალიზმის ერთ-ერთ მთავარ მებაირაღედაც წარმოჩინდება. მეორე მხრივ კი, ის იბრძოდა ვენის კონგრესის მიერ დაწესებული ტერიტორიული მუხლების გაუქმებისაკენ, რითაც იმედოვნებდა საფრანგეთის აღმოსავლეთი საზღვრის თავიდან ბოლომდე რაინზე გატარებას (Wright 2010: 10). ცხადია, დასახელებული ორივე კონცეფციის განხორციელება უეჭველად გამოიწვევდა გერმანიის გაერთიანებასა და გაძლიერებას. კერძოდ, ლიბერალური ნაციონალიზმის ქვაკუთხედი ერთა თვითგამორკვევის სახით, ნათელია, დაქუცმაცებული გერმანიის გაერთიანების იდეას ასაზრდოებდა, ხოლო ვენის კონგრესის პუნქტების ნიველირება საფრთხეს შეუქმნიდა გერმანული კონფედერაციის ჩამოშლას, ეს უკანასკნელი კი წმინდად თავდაცვითი ხასიათისა იყო. მას თავისი არსებობის მანძილზე საგარეო ომი არ წამოუწყია და თავდაცვისუნარიანობაც მწირი სამხედრო რესურსებისა და კონფედერაციაში შემავალი სამეფო-სამთავროების არაერთსულოვნების გამო ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე. შესაბამისად, ამ ურთიერთშეუთავსებელი მრავალწლიანი საგარეო პოლიტიკის გეგმამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. აშკარა წარუმატებლობად უნდა შეფასდეს 1863 წელს პოლონეთის აჯანყების მხარდაჭერა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. მართალია, საფრანგეთს გადამჭრელი ზომები არ მიუღია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონელების დასახმარებლად, თუმცა ნაპოლეონ მესამის მორალური თანადგომაც საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის მმართველის, ალექსანდრე II-ის, გასაღიზიანებლად. ცხადია, ამ წასაგებად განწირული სვლით იმპერატორმა დააჩქარა იმპერიის იზოლაციის პროცესი, რომლის პრელუდიადაც 1859 წელს პიემონტის სამეფოსთან კავშირი წარმოადგენდა. „პლომბიერის შეთანხმების“ შედეგად, ნაპოლეონ მესამემ გარკვეული ტერიტორიული დივიდენდები მიიღო, სახელდობრ, ნიცა და სავოია შემოუერთა საფრანგეთს, მაგრამ ავსტრიის წინააღმდეგ იტალიელების მხარდამხარ ომმა მას ჰაბსბურგებიც გადაჰკიდა. იმავდროულად, ავსტრიელებთან პრელიმინარული ზავის დადებით სარდინიის სამეფოსთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. ამრიგად, ნაპოლეონ მესამეს მისმა პოლიტიკამ მოუტანა სამხრეთის საზღვრებთან აღმოცენებული ერთიანი იტალია, რომელიც საფრანგეთისადმი მაინცდამაინც ლოიალობით არ გამოირჩეოდა. შემდეგი და ალბათ უმთავრესი კრახი ნაპოლეონის დიპლომატიამ განიცადა აღმოსავლეთის საზღვრებზე, სადაც ძლიერი, ერთიანი გერმანიის დაფუძნების კონტურები იკვეთებოდა. უპირველეს ყოვლისა, ბონაპარტისათვის შემაშფოთებელი უნდა ყოფილიყო ავსტრიასა და პრუსიას შორის დამყარებული კავშირი, რომლის ძალითაც, ამ ორმა სახელმწიფომ ერთობლივად შეუტიეს დანიის სამეფოს და შლეზვიგ-ჰოლშტაინი დაისაკუთრეს. ამ ომმა ფრანგი გვირგვინოსნის ყურადღება საკმარისად ვერ მიიქცია, რადგან ის მექსიკურ ავანტიურაში იყო ჩაბმუ-

ლი და ოკეანის გადაღმა თავისი გავლენის გაზრდას ეშურებოდა. ევროპული საკითხებით მისი დაინტერესება კი ამჯერად ავსტრიისა და პრუსიის დაპირისპირების პერიპეტიებს უკავშირდება. 1865 წელს პრუსიის კანცლერის, ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკის, ინიციატივით შეხვედრა შედგა მასა და ნაპოლეონ III-ს შორის საკურორტო ქალაქ ბიარიცში. „რკინის კანცლერმა“ პრუსია-ავსტრიის მომავალ ომში ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ საფრანგეთის ლიდერს ლუქსემბურგის საჰერცოგო შესთავაზა. საუბარმა გამოკვეთა, რომ ნაპოლეონ მესამეს არა მხოლოდ ლუქსემბურგი, არამედ ბელგიაც უნდოდა. აღნიშნულ პრეტენზიაზე ბისმარკმა დუმილით უპასუხა. მიუხედავად იმისა, რომ ორ სახელმწიფოს შორის პირდაპირი შეთანხმება არ შემდგარა, ბონაპარტმა 1866 წლის პრუსია-ავსტრიის ომში ნეიტრალიტეტი მაინც დაიცვა. ისტორიკოსები საფრანგეთის ხელისუფლის ამ მოქმედებას ორ ძირითად ახსნას უძებნიან: ერთი მხრივ, როგორც დანარჩენი მსოფლიო, ისე ნაპოლეონ III-ც ომის გაჭიანურებას ელოდა და შედეგად მას ერთგვარი არბიტრის როლი მიენიჭებოდა (Mommsen 1966: 65) (მით უფრო, მის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა კონგრესის ჩატარება, რომელიც სასაზღვრო სისტემებს გადასინჯავდა) და, მეორე მხრივ, იგი მოელოდა პრუსიის დამარცხებას, რაც შეუქცევადად განსაზღვრავდა გერმანიის გაერთიანების მოსურნე ამ სახელმწიფოს დასუსტებას. ცხადია, სცენარის ასე განვითარება ლუი-ნაპოლეონს ხელ-ფეხს გაუხსნიდა ლუქსემბურგისა და ბელგიის დასაკავებლად, ოღონდ ამ ჯილდოს იგი არა პრუსიის ხელით, არამედ თავადვე მიიღებდა ძალაგამოცლილი მეზობლის ფონზე. საგულისხმო ცნობას იძლევა საიმპერატორო კარის საგარეო საქმეთა მინისტრის მთავარი თანაშემწე, გრაფი არმანდი: „საგარეო უწყებაში ჩვენი ერთადერთი საფიქრალი ის იყო, რომ პრუსია ზედმეტად სასტიკად არ დამარცხებულიყო და დამცირებულიყო, რის თავიდან ასაცილებლად დროულად ჩარევისთვის ვემზადებოდით. იმპერატორს პრუსიის მარცხი სურდა, რომ შემდეგ ჩარეულიყო და თავისი ფანტაზიის მიხედვით აეშენებინა გერმანია“ (კისინჯერი 2021: 140). თვალსაჩინოა, რომ ნაპოლეონ მესამის მოქმედება ძალიან ჰგავს იოსებ სტალინის დამოკიდებულებას ჰიტლერულ გერმანიასთან მიმართებით. კერძოდ, დიქტატორმა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ნაციონალ-სოციალისტებთან სამოკავშირეო პაქტი გააფორმა ტერიტორიული მონაპოვრისათვის. 1939 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ლიდერმა პოლიტბიუროს წარუდგინა გეგმა, რომლის თანახმადაც, უმჯობესი იქნებოდა ხელი არ შეეშალათ გერმანიისთვის, რომლის დამარცხების შემთხვევაში ადვილად გააწითლებდა ამ უკანასკნელს (პაპასქირი 2009: 191). საფრანგეთის ხელისუფლების ამ პათოსს უეჭველად აძლიერებდა ევროპის კონტინენტზე გაბატონებული სკეპტიკური დამოკიდებულება პრუსიის სამხედრო პოტენციალის მიმართ. პრუსია – ავსტრიის ომამდე სულ რაღაც 6 წლით ადრე ლონდონური „თაიმსი“ იუწყებოდა, რომ პრუსია რეალური დახმარების გარეშე „ერთი თვითაც ვერ შეინარჩუნებს ვერც რაინს და ვერც ვისლას“ (Wawro 2003: 17). ბუნებრივია, საკითხის ასე დაყენება არასერიოზულია, თუმცა მსგავს აზრს უახლესი ისტორია აჩენდა. ნაპოლეონ I-ის შემდეგ პრუსია დიდ სახელმწიფოებს შორის აღარ წარმოადგე-

ნდა ანგარიშგასაწევ ძალას. მას რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ უომია ძლიერ ქვეყანასთან და, შესაბამისად, ფრიდრიხ დიდის დროინდელი პრუსია მივიწყებას მიცემულიყო. ნაპოლეონ მესამის ოპოზიციაში მყოფნი, პირველ ყოვლისა, გამოცდილი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი, ადოლფ ტიერი, სვამდნენ ლოგიკურ კითხვას, რატომ იყო პრუსია ამდენად დაინტერესებული ამ ომით, თუკი გამარჯვების იმედი არ ჰქონდა? ამ სულისკვეთებას ტიერი აჟღერებს 1866 წლის 3 მაისის სიტყვაში, რომლითაც საფრანგეთის ხელისუფლებას მოუწოდებს წინ აღუდგეს გერმანიის გაერთიანებას „ჯერ გერმანული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის სახელით, შემდეგ საკუთარი დამოუკიდებლობისთვის და საბოლოოდ ევროპული ბალანსისთვის, რომლითაც დაინტერესებულია ყველა, უნივერსალური საზოგადოება... (კისინჯერი 2021: 142). ტიერმა საოცარი სიზუსტით დაასურათხატა ის ვითარება, რომელიც გარდაუვალად დადგებოდა ევროპის კონტინენტის შუაგულში. მართლაც, ორი თვის შემდეგ, 1866 წლის 3 ივლისს, ავსტრიელების ელვისებურმა მარცხმა სადოვასთან ბრძოლაში წარმოაჩინა პრუსიელთა უპირატესობა, რამაც ლუი-ნაპოლეონი სახტად დატოვა. მეორე დღეს ფრანგთა მონარქმა განაცხადა, რომ მზად იყო დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლობა ეკისრა (შარაშენიძე 2014: 220). აღსანიშნავია, რომ ფრანგული ფართო პოლიტიკური სპექტრი იმპერატორის ნაბიჯს არასაკმარისად აფასებდა და მათ შორის უჩვეულო ერთსულოვნება სუფევდა. ბონაპარტს პრუსიის წინააღმდეგ ომში ჩაბმისაკენ მთავრობის წევრები და ოპოზიციონერები ერთხმად მოუწოდებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სახელმწიფო მინისტრი ეჟენ რუერი: „გავანადგუროთ პრუსია და დავიკავოთ რაინი“ (Wawro 2003: 17). იმპერიის ფუნქციონერი გრძნობდა, რომ პრუსიული სამხედრო რეჟიმის მოთავეობით გერმანიის გაერთიანება კარს იყო მომდგარი და სასაზღვრო მდინარის აუზის დაპყრობით ამ პროცესის შეჩერებას ცდილობდა. აგრეთვე, რურის ოლქის საფრანგეთში მოქცევით ბერლინს ეკონომიკურ ხერხემალსაც გამოაცლიდა. აღნიშნულ არგუმენტაციას იზიარებდა ფრანგული ლიბერალური ოპოზიციაც, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა სხვა შემთხვევებში მუდმივად ილაშქრებდა ბონაპარტისტული ომების წინააღმდეგ. საკანონმდებლო კორპუსის ზომიერებით განთქმული წევრი, ადოლფ ტიერი, თავისი მოწოდებით კიდევ უფრო რადიკალური იყო და საფრანგეთის გადარჩენის საშუალებად პრუსიასთან დაუყოვნებლივ ომის გამოცხადებას ასახელებდა (Wawro 2003: 17). საბოლოოდ, ნაპოლეონ III ბისმარკისგან სამხრეთ გერმანიის დამოუკიდებლობის გარანტიების გაცემას დასჯერდა, როცა გაცილებით მეტის მიღება იქნებოდა შესაძლებელი პრუსიისათვის ომის გამოცხადებით, მით უმეტეს, პრუსიული ჯარების ერთი ნაწილი ვენისკენ მიიწევდა, ხოლო მეორე ბენედეკის ძალებს მისდევდა. ომში ჩართვის ნებელობასთან ერთად აქ იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ასევე პრუსია-ავსტრიის ომის გაჭიანურების მოლოდინით იყო განპირობებული. საფრანგეთს, ფაქტობრივად, არ შეეძლო სამხედრო ძალების იმ რაოდენობით მობილიზება, რამდენიც საკმარისი იქნებოდა მძლავრ პრუსიულ სამხედრო მანქანასთან გასამკლავებლად. ფრანგული არმიის დიდი ნაწილი

მიმობნეული გახლდათ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში[2] (Wawro 2014: 18). ამრიგად, ბისმარკის გათვლები გამართლდა და ომი უსწრაფესად მოიგეს. იმავე წლის 26 ივლისს ნიკოლსბურგში დაიდო ზავი, რომელიც აგვისტოში პრაღაში გადაისინჯა. ხელშეკრულების მიხედვით, ავსტრია თმობდა ჰოლშტაინს და ტოვებდა გერმანულ კონფედერაციას, რითაც ბისმარკს საშუალება ეძლეოდა „რკინითა და სისხლით“ ჩასდგომოდა სათავეში გერმანიის გაერთიანებას. რასაკვირველია, ომის შედეგით აღშფოთებული აღმოჩნდა ნაპოლეონ მესამე, რომელმაც, ჩანს, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, როდესაც ტრიუმფალურად გამარჯვებულ ბისმარკს ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ შეპირებული მიწები მოსთხოვა. პრუსიის კანცლერმა ეს ფაქტი სათავისოდ გამოიყენა და ბელგიის დამცველ ინგლისსა და საფრანგეთს შორის განხეთქილება ჩამოაგდო. საბოლოოდ, ლუი-ნაპოლეონმა ლუქსემბურგის საჰერცოგოს დასაკუთრებაც ვერ მოახერხა. ნათელია, იგი პრუსია-ავსტრიის ომის შემდგომ საფრანგეთისათვის გაჩენილი სიცარიელის შევსებას ტერიტორიული მონაპოვრის მიღებით ლამობდა, თუმცა აქაც ხელი მოეცარა. საკანონმდებლო კორპუსში ერთ-ერთი გამოსვლისას ტროპული მეტყველების უბადლო გამოყენებით ადოლფ ტიერმა იმპერიის მეთაურზე ცინიკურად დასძინა: „როდესაც მონადირეს რცხვენია ნადირობიდან ცარიელი ჩანთით დაბრუნება, მიდის ყასაბთან და ყიდულობს კურდღელს, რომელსაც ნანადირევად ასაღებს. აი ეს არის ლუქსემბურგი!“ (Wawro 2003: 18). შეიძლება ითქვას, ზემოთქმული ქმედებით, პრაქტიკულად, დასრულდა მეორე იმპერიის სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევა. ცხადია, რეჟიმს, რომელიც საფრანგეთში პოპულარობით აღარ სარგებლობდა, სჭირდებოდა რაიმე გრანდიოზული, რაც მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე დიდებას მოუტანდა. ამავდროულად, პერიოდულად ნაპოლეონ მესამეს არ ავიწყდებოდა გარკვეული დაპყრობებით ქვეყნის გამდიდრება და, ამასთან, ვიდრე პრუსია მიაღწევდა გერმანიის საბოლოო გაერთიანებას საკუთარი ეგიდის ქვეშ, მანამდე უნდა ებრძოლა საფრანგეთს როგორც მომავალი თავდაცვის უზრუნველყოფისათვის, ისე კონტინენტზე დომინანტური ქვეყნის სტატუსის შესანარჩუნებლად. დასახული მიზნების შესრულება იმპერიის ზემოთ აღწერილი მრავალწლიანი პოლიტიკის გათვალისწინებით შეუძლებლად მოჩანდა. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ ბისმარკსაც სურდა ომი საფრანგეთთან და ამისთვის მზადება საკმაოდ ადრეც დაიწყო.

რაოდენ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, ნაპოლეონ III-მ ტახტზე ასვლის შემდგომ განაცხადა: „იმპერია ეს არის მშვიდობა!“[3] (Wright 2010: 10). სავსებით შესაძლებელია, რომ მმართველობის დასაწყისში მას მართლაც ჰქონოდა პაციფისტური დამოკიდებულებები, მეტადრე, მის მიერ ქვეყნის შიგნით გატარებული რეფორმები ამას ადასტურებს.[4] თუმცა, როგორც ჩანს, ნაპოლეონ III-ს,

[2] 63 000 ფრანგი ჯარისკაცი ალჟირში, 28 000 მექსიკაში, 8 000 რომში, 2 000 ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე.

[3] "L'empire, c'est la paix" (ფრანგულად).

[4] ნაპოლეონ მესამემ დაიწყო მსხვილი საკრედიტო ინსტიტუტების მხარდაჭერა, რამაც ეკონომიკური აღმავლობა მოუტანა საფრანგეთს. იმპერატორის სახელთანაა დაკავ-

გარდა ვენის კონგრესის მიერ დადგენილი ლეგიტიმურობის ნორმების ვერ დაკმაყოფილებისა, თავისი ცნობილი გვარის აჩრდილიც მუდამ თან სდევდა. როგორი წარმატებულიც უნდა ყოფილიყო ნაპოლეონ მესამე საშინაო პოლიტიკაში, მას ცალსახად ყოველთვის გადაწონიდა ნაპოლეონ I-ის სამხედრო მიღწევები. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ საერთაშორისო საკითხებით დაინტერესება მუდმივად ჭარბობდა „ტიულრის სფინქსის“[5] პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ომის სურვილი ჰქონდა როგორც საფრანგეთს, ისე პრუსიას, ოღონდ მათ შორის უდიდესი განსხვავება არსებობდა, კერძოდ, მეორე იმპერია შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტს შეხვდა მოუმზადებელი (Wright 2010: 15). მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მინისტრი, ედმუნ ლებოფი, ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მომხრე, ზედმეტად თავდაჯერებული გახლდათ, პრუსიაშიც შესანიშნავად იცოდნენ თუ რა ძალის პატრონი იყო ფრანგული მხარე. აღსანიშნავია, რომ 1867 წელს პრუსიელთა ჯარების მეთაურმა, ჰელმუტ კარლ ფონ მოლტკემ, მოინახულა საფრანგეთის საჯარისო ყაზარმები და თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას პირდაპირ განუცხადა, რომ საფრანგეთი ომისთვის მზად არ იყო (Антюхина-Московченко 1986: 21). სამხედრო მზადყოფნის არქონასთან ერთად ხელისუფლების პრესტიჟი ფრანგ ერში უდავოდ დაცემული გახლდათ. საერთაშორისო ურთიერთობებში გამოვლენილი უნიათობის გარდა, რეჟიმის მიმართ აღნიშნული უკმაყოფილება გამოიწვია ბოლოდროინდელი საშინაო პოლიტიკით განპირობებულმა მოვლენებმა, რომლებიც იმპერიული წყობის დახავსების შედეგს წარმოადგენდა. ქვეყანაში ყვაოდა კორუფცია, რომლის მასშტაბების აღსაწერად საკმარისია ვთქვათ, რომ წლიურად იმპერატორის ოჯახის წევრებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ოფიციალურად 1 მლნ ფრანკი იხარჯებოდა. ამ მხრივ სრულ განუკითხაობას კოლონიებში დაესადგურებინა[6] (Wawro 2003: 25). სავარაუდოდ, მეორე იმპერიის დაცემული ავტორიტეტის აღდგენას ემსახურებოდა 1867 წელს პარიზში საერთაშორისო გამოფენის გამართვა, თუმცა, აშკარაა, ეს ქმედება არ აღმოჩნდა საკმარისი მოსახლეობის გულის მოსაგებად, რაც ცხადყო 2 წლის შემდგომ ჩატარებულმა საკანონმდებლო კორპუსის არჩევნებმა. 1869 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკურმა ოპოზიციამ ამომრჩეველთა ხმების თითქმის 3,5 მლნ მიიღო. მართალია, ხელისუფლებამ 1 მილიონი ხმით მეტი მოაგროვა, თუმცა დასახელებული შედეგი უთუოდ ლიბერალური ოპოზიციის წარმატებად უნდა შეფასდეს, რადგან საგრძნობლად გაიზარდა მათი წარმომადგენლობა საკანონმდებლო კორპუსში (Антюхина-Московченко 1986: 11). იმავდროულად, არჩევნებმა გამოკვეთა ტენდენცია, რომ იმპერიის მოკავშირეები მეტწილად პერიფერიებში ცხოვრობდნენ, დიდი ქალაქებისა და, უწინარეს ყოვლისა, პარიზის მცხოვრებნი კი მაღალი პროცენტულობით იყვნენ ოპოზიციურად განწყობილნი. რესპუბლიკელთა გაძლიერება დაკავშირებული იყო ბონაპარტიზ-

---

შირებული პარიზისთვის თანამედროვე იერსახის მიცემა, რაშიც მას ბარონი ჰაუსმანი დაეხმარა და ა. შ.

[5] ნაპოლეონ მესამის ზედმეტსახელი.

[6] 1860-იან წლებში ალჟირის გენერალ-გუბერნატორი, პატრის დე მაკ-მაჰონი, ყოველწლიურად 45 მლნ. ფრანკ მოსაკრებელს იღებდა, რაც დაწესებულ გადასახადებს 5-ჯერ აღემატებოდა.

მის კრიზისთან. აგრეთვე, ოპოზიციას გამოუჩნდა ახალგაზრდა ლიდერი ლეონ მიშელ გამბეტას სახით, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ბელვილში[7] წამოაყენა დემოკრატიული რეფორმების პროგრამა.[8] ახლადგამოჩენილმა პოლიტიკოსმა სამოქმედო გეგმის მთავარ პოსტულატად დემოკრატიაში ხალხის უზენაესი წვლილი განსაზღვრა (Антюхина-Московченко 1986: 11). ბუნებრივია, ხელისუფლების ირგვლივ შემოკრებილმა კონსერვატორებმა გამბეტას რევოლუციურ პროგრამას რეაქციის გარდა ღირებული ვერაფერი დაუპირისპირეს. ნაპოლეონ მესამე თავს გამარჯვებულად მიიჩნევდა და საზოგადოების ჟრიამულს, რაც აკრძალული „მარსელიეზას“ სიმღერაში გამოიხატებოდა, არაფრად აგდებდა (Wawro 2003: 27). მომძლავრებული ლიბერალური ოპოზიცია კი ჯიუტად ითხოვდა დემოკრატიული ღონისძიებების გატარებას. ქვეყანა მოეცვა გაფიცვათა ტალღას. ყველაფერთან ერთად ლუი-ნაპოლეონისთვის გამარჯვების ილუზია დაამსხვრია 1870 წლის იანვარში მომხდარმა ინციდენტმა. იმპერატორის ბიძაშვილმა, პრინცმა პიერ-ნაპოლეონ ბონაპარტმა, ინტერვიუს ჩამოსართმევად მისული რესპუბლიკური იდეების მქონე ჟურნალისტი დახვრიტა. მომხდარით აღშფოთებულმა პარიზელებმა განსვენებული რეპორტიორის დაკრძალვა ანტიიმპერიულ დემონსტრაციებში გადაზარდეს. ამბოხებულმა ხალხის მასამ ნაჩვევი რევოლუციური სტილით ბარიკადების აღმართვაც დაიწო, თუმცა განახლებული ფართო გამზირების გამოისობით ისინი ვერ გამაგრდნენ მათსავე აწყობილ წინაღობებში (Wawro 2003: 27). რასაკვირველია, ამან ვერ ჩააცხრო მღელვარე ფრანგთა ბრძოლისუნარიანობა და ღამით ისინი ჩირაღდნებით ხელში ტიულრის სასახლისკენაც დაიძრნენ. ლუი-ნაპოლეონმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და რადიკალური ქმედებების ნაცვლად დათმობებზე წავიდა. საფრანგეთის მეთაურმა შეამსუბუქა პოლიციის ძალმოსილება, შეარბილა კანონი პრესის შესახებ, დაითხოვა რეაქციონერ პრეფექტთა დიდი ნაწილი და მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელად ლიბერალად ცნობილი ემილ ოლივიე დანიშნა. 1870 წლის აპრილში კი იმპერატორმა პოლიტიკურ ელიტას შესთავაზა ახალი კონსტიტუციის მოდელი, რომელიც საკანონმდებლო კორპუსს კანონპროექტის ინიციირებისა და მინისტრთა დაბარების უფლებამოსილებას ანიჭებდა (Wawro 2003: 28). ცხადია, პოლიტიკური კრიზისის დროს ხელისუფლების სტრატეგიის დიამეტრული ცვლილებაც ასახიერებს მის სისუსტეს. ამ რყევების მიუხედავად, ლუი-ნაპოლეონი მაინც გულმოცემული იყო და თვითრწმენას არც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან კარგავდა. 1868 წელს იმპერატორმა ამ უკანასკნელს განუცხადა: „თუ ის [ბისმარკი] სამხრეთგერმანულ სახელმწიფოებს ჩრდილო-გერმანულ კავშირში მოიაზრებს, მაშინ ჩვენი ქვემეხები თავისით გაისვრის“ (Wawro 2003: 20). თავის მხრივ, დროს არ კარგავდა ბისმარკიც, რომელიც მოლტკესთან ერთად სამხრეთგერმანული მიწების მოსახლეობაში ნაციონალიზმს აღვივებდა. გა-

[7] პარიზის ერთ-ერთი კვარტალი, სადაც გამბეტა კენჭს იყრიდა.

[8] ბელვილის პროგრამა საკმაოდ პროგრესული გახლდათ და იგი მოიცავდა დემოკრატიის მთელ რიგ საფუძვლებს: ხმის მიცემის საყოველთაობას, პიროვნების, შეკრების, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებებს, სეკულარიზმს, საგადასახადო სისტემის რეორგანიზებას.

რდა ემოციური სენტიმენტების წინ წამოწევისა, ბერლინმა აქტიური ნაბიჯებიც გადადგა, კერძოდ, პრუსიის მეთაურობით დაფუძნდა ორგანო, რომელიც გერმანულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებას უწყობდა ხელს.[9] პასუხად ფრანგულმა მხარემ საზაფხულო სამხედრო მანევრების ერთი კვირით გახანგრძლივებით უპასუხა, რითაც ბისმარკი გააფრთხილა, რომ ბადენის, ბავარიისა და ვიურტენბერგის დამოუკიდებლობას მყარი გარანტიები გააჩნდა (Wawro 2003: 23). საფრანგეთის მიერ განხორციელებული კონტრზომები გერმანული სამეფოების შეკავშირების საწინააღმდეგოდ არასაკმარისად მიგვაჩნია და ალბათ მეტი ყურადღების დათმობას მოითხოვდა. აღსანიშნავია, როცა 1931 წელს ვაიმარის რესპუბლიკის კანცლერმა, ჰაინრიხ ბრიუნინგმა, გერმანიასა და ავსტრიას შორის საბაჟო სისტემის სავარაუდო გაუქმებაზე განაცხადა, ამით ევროპულ სახელმწიფოთა გაღიზიანება გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩეხოსლოვაკია და საფრანგეთი, რომლებსაც ორი გერმანული ქვეყნის გაერთიანება აშფოთებდა (პაპასქირი 2009: 107). პიერ ლავალის მთავრობამ მეტწილად სწორად შეაფასა ეკონომიკური კავშირების მსგავსი გაფართოების საშიშროება საფრანგეთის მეზობლად და თანამოაზრეების თანადგომით ძირშივე აღკვეთა გერმანიის მთავრობის ჩანაფიქრი. როგორც გამოჩნდა, ლუი-ნაპოლეონსაც გააჩნდა აქტიურობის მიზეზი, რადგან 1869 წელს ბავარია და ვიურტენბერგი შევიდნენ „Zollparlament"-ში და ბერლინთან გააფორმეს სამხედრო ხელშეკრულებებიც, რომელთა ძალითაც, თავდაცვითი ომის დროს მათ გერმანული მიწები უნდა დაეცვათ (Wawro 2003: 24). საგულისხმოა, რომ ერთი წლის თავზე საფრანგეთის მიერ ომის გამოცხადება გადამწყვეტი და დამაჩქარებელი ფაქტორი იყო ბავარიისა და ვიურტენბერგის აღნიშნულ კონფრონტაციაში ჩართვისთვის. საშინაო პოლიტიკაში წარმოქმნილმა სიძნელეებმა და არმიის მზადების პროცესმა პრუსიისა და სამხრეთგერმანული ქვეყნების ნაწილობრივი სამხედრო ალიანსი ლუი-ნაპოლეონის ყურადღების მიღმა დატოვა. როგორც გამოჩნდა, 1866-1870 წლებში საკმარისი საბაბი ჰქონდა ორივე მხარეს ომის გასაჩაღებლად, თუმცა ისინი თავს იკავებდნენ. გენერალი ლუი ჟარასი იხსენებდა, რომ მისთვის ნაპოლეონ მესამის ერთ-ერთ სამხედრო მინისტრს არაერთხელ უთქვამს, რომ პრუსიასა და საფრანგეთს შორის არსებული ზავი იყო ომამდელი შესვენება (Wawro 2003: 22). ამ დროს ლუი-ნაპოლეონი ჯარის რეფორმირებისთვის იყენებდა, ხოლო ბისმარკი პრუსიის გავლენის მიღმა დარჩენილი გერმანელების მოთაფვლას ესწრაფოდა. საბოლოოდ, კონფლიქტის წამოწყების ნება-სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ახალი საბაბი მარტივად გამოინახა. ესპანეთის სამეფო ტახტზე გაჩენილი დინასტიური კრიზისი შესანიშნავად გამოიყენა ორივე სახელმწიფომ ომის საწარმოებლად. ხაზგასასმელია, რომ ესპანეთის მეფის ვაკანტურ ადგილზე წამოყენებულ იქნა ლეოპოლდ ფონ ჰოენცოლერნ-ზიგმარინგენის კანდიდატურა. მოგეხსენებათ, განსახილველ ეპოქაში პრუსიის მართვის სადავეები სწორედ ჰოენცოლერნთა დინასტიის ხელში გახლდათ და მათი გვერდითი შტოს გამეფება პირინეის ნახევარკუნძულზე საფრანგეთის შეურიგებელ წინააღმდეგობას იწვევდა. ფრანგ პოლიტიკოსთა აზრით, პრინცი

[9] Zollparlament (გერმანულად).

ლეოპოლდის კორონაცია საფრანგეთს XVI საუკუნის ვითარებაში ჩააგდებდა, როცა ორივე მხრიდან ჰაბსბურგების დინასტიით იყო გარშემორტყმული. შესაბამისად, ფრანგული დიპლომატია ცდას არ აკლებდა აღნიშნული პრობლემის გადაჭრას. საფრანგეთის საიმპერატორო კარმა ემსში, სადაც მკურნალობდა ვილჰელმ I, მიავლინა თავისი წარმომადგენელი ბენედეტის სახით. მან, პრაქტიკულად, ულტიმატუმის ენით მიმართა პრუსიის მეფეს, რათა შეეთვალა პრინცი ლეოპოლდისთვის ესპანეთის ტახტზე მოეხსნა თავისი კანდიდატურა. ვილჰელმ პირველმა გამწვავებას არჩია შეესრულებინა ნაპოლეონ მესამის მოთხოვნა. ამ ფაქტმა გააღიზიანა ბისმარკი, მეორე მხრივ კი, ნაპოლეონ მესამეს შეუქმნა იმისი შთაბეჭდილება, რომ პრუსია სისუსტის გამო ომს გაურბის. სწორედ ამიტომ, საფრანგეთის იმპერატორმა დაწოლა გაზარდა პრუსიაზე და ამჯერად ბენედეტის ათქმევინა, რომ ჰოენცოლერნთა პრეტენზიები არასოდეს გაცხადებულიყო ესპანეთის სამეფო ტახტზე. ცხადია, ამან აღაშფოთა პრუსიის მონარქი, მაგრამ მაინც დელიკატური პასუხი დაუბრუნა საფრანგეთის შუამავალს. სამაგიეროდ, ბისმარკმა, რომელმაც ემსიდან მიიღო წერილი ვილჰელმ პირველის გადაწყვეტილებების შესახებ, რედაქტირება გაუკეთა აღნიშნულ დოკუმენტს, რითაც დიპლომატიური ტონი ხისტი დამოკიდებულებით შეცვალა. იმავდროულად, პრუსიის კანცლერმა ორგანიზება გაუწია „ემსის დეპეშის“ პრესაში გაჟონვას და ფრანგებს მისცა ომის წამოწყების საბაბი. 1870 წლის 19 ივლისს საფრანგეთმა პრუსიას ომი გამოუცხადა. მთავარსარდლის უფლებამოსილება იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ იტვირთა.

აღსანიშნავია, რომ ომს საფრანგეთში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მოსახლეობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მინისტრთა კაბინეტის წევრებსა და მათ თავმჯდომარე ემილ ოლივიეზე, იზიარებდა ფრანგული არმიის ბერლინში შესვლის სულისკვეთებას (Wright 2010: 15). მართალია, მსგავსი აღტყინება არ ყოფილა პროვინციებში, მაგრამ უარყოფითად არც იქაური ხალხი შეხვედრია ამ კონფრონტაციას. ომის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა პრუსიელთა დომინაცია. როგორც ზემოთ ითქვა, ამის განმაპირობებელ ძირითად მიზეზად მოწინააღმდეგის სწორად ვერ შეფასება უნდა დავასახელოთ, რამაც განსახიერება ოლივიეს სიტყვებში პოვა: „რას წარმოადგენს პრუსიული არმია!.. საკმარისია მას სული შევუბეროთ!“ (Антюхина-Московченко 1986: 19). ხაზგასასმელია, რომ ამ ომს აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ადოლფ ტიერი, თუმცა ომით გამოწვეულ საერთო სასიხარულო ყიჟინას მან ვერაფერი დააკლო. ტიერს პოლიტიკური მომენტის შერჩევის საოცარი ალღო გააჩნდა და პოზიციას ვითარების შესაბამისად აყალიბებდა. ამდენად, უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს მისი დამოკიდებულების ცვლილება პრუსიასთან ომის წამოწყების თაობაზე. ოთხი წლის წინ, ვფიქრობთ, მართლაც, პრუსიას უთუოდ დიდ ზიანს მიაყენებდა რაინზე მეორე ფრონტის გახსნა, ხოლო 1870 წლისთვის საფრანგეთი მარტო აღმოჩნდა გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ მომხდურთან. ხელისუფლების სიბეცე და ზომიერი ოპოზიციის სისწორე ომის დებიუტშივე გამოჩნდა. 1870 წლის 4 აგვისტოს კრონპრინცის ძალები უკვე ელზასში გადავიდნენ და მარცხი აგემეს გენერალ

აბელის ხელქვეით არსებულ ვისენბურგის დივიზიას. ორი დღის შემდგომ პრუსიელებმა გაანადგურეს გენერალ მაკ-მაჰონის შენაერთები ვიორთთან, ფრიოშვილერთან და რაიხსოფენთან. მან დაღუპულების, დაჭრილებისა და ტყვეების სახით 10 ათასზე მეტი კაცი დაკარგა (Wright 2010: 16). ამავე დღეს, ზაარბრიუკენიდან ლოთარინგიისკენ შეტევაზე გადავიდნენ გენერალ შტაინმეცისა და პრინც ფრიდრიხ-კარლის ძალები, რომელთაც გენერალი ფროსარი ფორბახთან გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. ყურადსაღებია, რომ აქ თავი იჩინა ობივატელურმა დამოკიდებულებამ, სახელდობრ, ფროსარის ხელმძღვანელ გენერალ ბაზენს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული მექსიკური სამხედრო ოპერაციის ჩაფლავება, მარტოდმარტო მებრძოლი თანამემამულის დასახმარებლად თითიც არ გაუნძრევია, რისი არგუმენტიც მისსავე სიტყვებში უნდა ვეძიოთ: „თუ ფროსარს სურს მიიღოს საფრანგეთის მარშლის კვერთხი, მაშინ მან უნდა შეძლოს მარტომ გამარჯვების მოპოვება“ (Wright 2010: 16). ფრონტიდან მოსულმა შოკისმომგვრელმა სიახლეებმა საიმპერატორო კარს ცვლილებებისაკენ უბიძგა. პირველ ყოვლისა, შეიცვალა მინისტრთა კაბინეტი და იგი სამხედრო ყაიდაზე იქნა მომართული. შედარებით ლიბერალურად განწყობილი ემილ ოლივიე შეცვალა რეაქციონერმა გენერალმა მონტობანმა, პალიკაოს გრაფმა. თავად იმპერატორმაც მოიხსნა მთავარსარდლობის პასუხისმგებლობა და ამ პოსტზე გენერალი ბაზენი დანიშნა (Wright 2010: 16). აღნიშნულმა საკადრო გადაჯგუფებამ ვითარება ფრანგთა სასარგებლოდ ვერ გააუმჯობესა. 18 აგვისტოსთვის გენერალი ბაზენის 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი შეიარაღებითურთ პრინც ფრიდრიხ-კარლის მიერ ბლოკადაში მოექცა. ანგარიშგასაწევია, რომ ბაზენს შეეძლო 16 აგვისტოს რეზონვილთან პრუსიის არმიის შედარებით მცირე ნაწილებისათვის შეეტია, თუმცა მისმა გაუბედავმა ბუნებამ დააღალატა. ხოლო გრაველოტთან მიტანილმა იერიშმა ფრანგული ძირითადი არმიის მეცთან გამოკეტვა გამოიწვია. მეცთან განვითარებულმა მოვლენებმა, ცხადია, პარიზში ვნებათაღელვა კვლავ გაზარდა. იმპერატორი ნაპოლეონ მესამე უკვე უშუალოდ ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში, რაც, სავარაუდოდ, მისი აზრით, ფრანგულ ლაშქარში მოტივაციას აამაღლებდა, თუმცა 1-2 სექტემბერს, სედანის ბრძოლამ ფრანგთა ყოველგვარი იმედი დაასამარა. 1-ელ სექტემბერს, დღის პირველ საათზე უპირატესობა აშკარად პრუსიელთა მხარეს გადაიხარა. საბოლოოდ კი, 5 საათზე ფრანგული არმიის ნაწილები გერმანელებმა ბელგიის საზღვართან არსებულ არდენებთან მიიმწყვდიეს. მალევე გორაკზე, სადაც გერმანული ელიტა იმყოფებოდა, ამოვიდა ბავარიელი ოფიცერი ინფორმაციით, რომლის თანახმადაც, გენერალ ფონ ბოთმერს სურდა ეცნობებინა მეფისთვის ფრანგთა სურვილი კაპიტულაციის შესახებ. ვილჰელმ პირველმა მკაცრად განუცხადა: „ჩემ გარდა არავის აქვს უფლება წარმართოს მოლაპარაკებები ამ თემაზე. უთხარით გენერალს, რომ მოლაპარაკების მანიშნებელი დროშისმტვირთველი უნდა მეახლოს მე“ (Busch 1879: 100). მეორე დღეს, უშუალოდ იმპერატორ ნაპოლეონ მესამესა და ოტო ფონ ბისმარკს შორის კაპიტულაციის საკითხები განხილულ იქნა სოფელ დონშერში, ერთ-ერთ არაფრითგამორჩეულ სახლში. 2 სექტემბერსვე გაიგზავნა ნაპოლეონ მესამის

ტელეგრამა, რომელიც პარიზში საკანონმდებლო კორპუსს ატყობინებდა მის ტყვედ ჩავარდნაზე.

მსგავსი სამხედრო კრახის შემდეგ ხელისუფლება ძლებს იმ შემთხვევაში თუ ის ძლიერია, სარგებლობს ფართო მასების მხარდაჭერით, არის ლეგიტიმური და გამართულად ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ მეორე იმპერიას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტში კრიზისული ჟამი ედგა. მეტიც, „დეილი ნიუსის“ კორესპონდენციის თანახმად, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ფრონტის ხაზიდან მოსულმა ცნობებმა პარიზელებს სიხარულის საფუძველი მისცა. პარიზელი მოქალაქე თავის დღიურში წერდა, რომ „თანხმობის მოედანზე“ სამოქალაქო პირებთან ერთად გვარდიელებიც ზეიმობდნენ და რესპუბლიკის სადიდებელ ფრაზებს სკანდირებდნენ. ავტორი იქვე დასძენს, რომ ასამბლეის წინ შეკრებილი ხალხი იმდენად ბედნიერი იყო, თითქოს ფრანგებმა სედანის ბრძოლა მოიგეს (Daily News Correspodence 1871: 108). პარიზის კორესპონდენტის გადმოცემით კი, გვარდიელთა ნაწილს ხიშტებზე დაფნის ფოთლები დაემაგრებინა, ხოლო სხვა მოქალაქეებს სხვადასხვა მცენარეების რტოებით მოერთოთ საკუთარი ქუდები გამარჯვების აღსანიშნავად (Daily News Correspondence 1871: 109). აშკარაა, რომ გრაველოტთან და სედანთან მომხდარმა სამხედრო კოლაფსმა გამოიწვია იმპერიული ხელისუფლების მოშლა. მართალია, საზოგადოების რისხვას პალიკაოს გრაფი გაუძალიანდა, როცა იმპერიული პროპაგანდისათვის ნაჩვევი ხერხით ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება წამოიწყო,[10] მაგრამ ამ სატყუარას პარიზელებმა იმპერიული ემბლემების მსხვრევითა და სახელმწიფო შენობების წინ თავშეყრით უპასუხეს (Wawro 2003: 231). პოლიტიკური მოწინააღმდეგის დამცრობით ისარგებლა ოპოზიციამ და არსებული რეჟიმი ძალადაკარგულად გამოაცხადა. რასაკვირველია, მსგავსი ქაოსის პირობებში არცერთ პარტიას არ სურდა ძალაუფლების ხელში აღება და სამხედრო მარცხის მეორე იმპერიის დროინდელ რეაქციონერებთან გაზიარება. ამრიგად, ადოლფ ტიერი „ეროვნული ხსნის კომისიის“ დაფუძნების ინიციატივით გამოვიდა. ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მემარცხენეთა ლიდერი, ჟიულ ფავრი, და რადიკალი ლეონ გამბეტა. ხალხის დაჟინებული მოთხოვნით ეროვნული ხსნის ხელისუფლება პარიზელი დეპუტატებისაგან დაკომპლექტდა. ფორსმაჟორულ გარემოში შერჩეული მთავრობის წევრები პოლიტიკურ ხედვათა სიჭრელით გამოირჩეოდნენ. რესპუბლიკის მეთაურები ცდილობდნენ ნებისმიერი პოლიტიკური გემოვნებისა თუ სოციალური ფენის გულის მოგებას. ამრიგად, ახალ ხელისუფლებაში მოინახა მემარცხენეთა ადგილი ჟიულ ფავრისა და ჟიულ სიმონის სახით, 1848 წლის რევოლუციური მოვლენების მონაწილეები, რომელთაც რესპუბლიკის ფორმირების გამოცდილება ჰქონდათ, ასევე შევიდნენ დროებით მთავრობაში,[11] რადიკალი გამბეტა კი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მისი მეოხებით პარიზელმა დეპუტატებმა გადაინაცვლეს რატუშისაკენ და იქ შეკრებილი

[10] მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა გამოაქვეყნა დეკლარაცია თითქოს იმპერატორი ლუი-ნაპოლეონი ტყვედ ჩავარდნისას 40 000 ფრანგის თანხლებით, 300 000 პრუსიელის გარემოცვაში აღმოჩენილიყო.

[11] იგულისხმება კრემიო და გარნიე-პაჟესი.

ხალხის ვნებათაღელვის ჩასაცხრობად გამბეტამ რესპუბლიკის დაფუძნება გამოაცხადა (Wright 2010: 18). გამბეტას ორატორობით მონუსხული იყო პარიზის მთელი საზოგადოება. მისმა მჭევრმეტყველებამ მიტინგებზე სიარული დააწყებინა იმპრესიონიზმის კორიფეებს, ედგარ დეგასა და მერყევ რესპუბლიკელ ედუარდ მანესაც კი (Ревалд 1959: 170-171). გასაკვირია, მაგრამ დროებით მთავრობაში არ შევიდა ისეთი ავტორიტეტული ფიგურა, როგორიც ადოლფ ტიერი გახლდათ. ტიერს ტირანიასთან ბრძოლის ხანგრძლივი, შეურიგებელი გამოცდილება ჰქონდა და, რაც მთავარია, უშუალოდ მისი ძალისხმევით დაფუძნდა მესამე რესპუბლიკა. ტიერმა თავისი წინადადებით უზრუნველყო ის, რომ მეორე იმპერიის დასაყრდენმა რეაქციულმა საკანონმდებლო კორპუსმა ჩამოშლა დაიწყო და ამით ქვეყანას ორხელისუფლებიანობა აარიდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ აქტმა უბიძგა დედოფალ ეუჟენიას დაეტოვებინა პარიზი და წინ არ აღსდგომოდა ხალხის ნებას. ამხელა ღვაწლის მიუხედავად, ტიერმა არ ისურვა ასეთ კრიტიკულ მომენტში ძალაუფლების სადავეების აღება. რა თქმა უნდა, აღნიშნული გადაწყვეტილება აჩენს სერიოზულ კითხვებს. ის არგუმენტი თითქოს ადოლფ ტიერი უფრთხოდა შესაძლო მძიმე საზავო პირობების წაყენებას, ჩანასახშივე უარსაყოფია, ვინაიდან პრუსიელებთან დროული დაზავების იდეა მას მაშინაც ჰქონდა, როდესაც ეს აზრი უკიდურესად არაპოპულარული იყო ფრანგულ საზოგადოებაში. ჩანს, ის თავისი სახელის გამოყენებას საერთაშორისო ასპარეზზე შეეცდებოდა, რათა დაესრულებინა ნაპოლეონ მესამის პოლიტიკით გამოწვეული საფრანგეთის იზოლაცია. მართლაც, 1870 წლის 12 სექტემბერს იგი დროებითმა მთავრობამ ლონდონში მიავლინა სპეციალური მისიით. მიგვაჩნია, ტიერის მეტ-ნაკლებად განზე განდგომის უმთავრესი მიზეზი მაინც პრუსიასთან ომის გაგრძელების საკითხი იყო. ცალსახაა, რომ დროებითი მთავრობა გამბეტას კურსს უჭერდა მხარს და ომში გამარჯვების თავდაჯერებულობას არ კარგავდა. ახლადჩამოყალიბებულ ხელისუფლებას სათავეში გენერალი ლუი ტროშუ ჩაუდგა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობა საომარ, ფაქტობრივად, საალყო ვითარებაში იყო დანიშნული. აშკარაა, რესპუბლიკის მესვეურები ურთულესი გამოწვევების წინაშე იდგნენ. საფრანგეთში არსებული 2 ძირითადი არმიიდან ერთი მეცთან იყო ალყაშემორტყმული, ხოლო მეორე საერთოდ აღარ არსებობდა. საჭირო შეიქნა მოკლე დროში ჯარის შეკრება და ახალი სამხედრო გეგმის დასახვა. პარალელურად ტიერი მოგზაურობდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დედაქალაქებში, რათა დაერწმუნებინა მათი ლიდერები იმ აზრში, რომ პრუსიის გამარჯვება აუცილებლად წარმოშობდა ძალთა ბალანსის ვაკუუმს. მას, როგორც ისტორიკოსს, ბრწყინვალედ ესმოდა ევროპული ძალთა ბალანსის აუცილებლობა, რაც მისი ზემოთ მოყვანილი 1866 წლის 3 მაისის ტირადითაც დასტურდება. თუმცა მისი მჭევრმეტყველება და წინასწარმეტყველური შეგონებები არ აღმოჩნდა საკმარისი ნაპოლეონ მესამის პოლიტიკური სიბეცით გადაკიდებული ევროპული მონარქების გადასარწმუნებლად. იმავდროულად, საფრანგეთში, განსაკუთრებით კი პროვინციებში, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს პრუსიული ოკუპაცია, ფეხს იკიდებდა ნიჰილიზმის გრძნობა. შექმნილ სიტუაციაში რთული წარმოსა-

დგენია მსგავს განწყობებს ვინმე წინ აღსდგომოდა. მტერი უკვე პარიზთან იდგა, რაც დედაქალაქისათვის ალყის უშუალო საფრთხეს წარმოადგენდა. წინააღმდეგობის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟიულ ფავრმა, შეხვედრა ითხოვა პრუსიულ მხარესთან. შეხვედრა შედგა იმა წლის 19 სექტემბერს, პრუსიულ ოკუპაციას გაქცეული როტშილდის სასახლეში (Busch 1879: 158). ბისმარკმა ფავრს საკმაოდ მძიმე პირობები წაუყენა: პარიზისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის, რომელსაც პრუსიელები აკონტროლებდნენ, დროებითი ოკუპაცია, 6 მლრდ ფრანკის ოდენობის კონტრიბუცია და ელზას-ლოთარინგიის პრუსიისათვის გადაცემა. რა თქმა უნდა, წამოყენებულ პირობებს ჟიულ ფავრი არ დასთანხმდა, რის გამოც პრუსიელებმა პარიზს ალყა შემოარტყეს. ფავრს რომ კომპრომისის გამონახვა გაუჭირდებოდა, ამას მოწმობს როტშილდების ციხე-სიმაგრეში შეხვედრამდე გამოქვეყნებული მანიფესტი იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ახალი ხელისუფლება შეურიგებელი იქნებოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. პარიზის ალყა ხელს შეუწყობდა ფრანგი ერის დემორალიზებას რომ არა ახალი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრ ლეონ მიშელ გამბეტას გამბედაობა. მან 7 ოქტომბერს თავის მეგობარ ინჟინერ ფრეისინესთან ერთად პარიზი საჰაერო ბურთით დატოვა და ამიენში გადაფრინდა, საიდანაც ტურში ჩავიდა და პროვინციული არმიის ჩამოყალიბების საქმეს მოჰკიდა ხელი (Wright 2010: 19). ზემოთ აღწერილი სურათიდან გამომდინარე, გამბეტას მდგომარეობა უიმედოს ჰგავდა. ამის მიუხედავად, 32 წლის პოლიტიკოსმა თავისი ენერგიული ქმედებებითა და მგზნებარე ორატორობით საზოგადოებას გამარჯვების რწმენა დაუბრუნა. მან მოახერხა და 4 თვეში დაახლოებით 600 ათას კაცს მოუყარა თავი (Wright 2010: 19). რასაკვირველია, ამ ომმა ნათლად გამოკვეთა, რომ ჯარისკაცების რაოდენობას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც შეიარაღებასა და სამხედრო ხელმძღვანელების მიერ ოპერაციების დაგეგმვას, თუმცა მშობლიური მიწის დაცვის მოტივაცია ამ შემთხვევაში ფრანგთა ძლიერ იარაღს წარმოადგენდა. გამბეტა განსაკუთრებით ჩქარობდა არმიის მობილიზებას, რადგან მას იმედი გააჩნდა მეცთან მომწყვდეული ბაზენის ძალების გააქტიურებისა. იგი იმედოვნებდა, რომ მეცის ბლოკადაში მონაწილე პრინც ფრიდრიხ-კარლის არმიის დიდხანს დაკავება საშუალებას მისცემდა განცალკევებით მყოფ პრუსიულ შენაერთებს გასწორებოდნენ ფრანგები. ხაზგასასმელია, რომ 9 ნოემბერს სოფელ კულმესთან გამართულ ბრძოლაში, გენერალმა პალადინმა დაამარცხა ბავარიული ქვედანაყოფები, თუმცა მალევე გაიმაგრეს პოზიციები გერმანელებმა, რადგან 29 ოქტომბერს გენერალი ბაზენის არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, შესაბამისად, გამოთავისუფლებული ფრიდრიხ-კარლის ჯარი დაეხმარა თანამებრძოლებს. გენერალი ბაზენის, როგორც მეორე იმპერიის განმასახიერებელი პირის, ქმედება პარიზში ღალატად შეაფასეს. მას თავდაპირველად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ შემდეგ სასჯელი უვადო პატიმრობით შეუცვალეს. საბოლოოდ, მან ციხიდან გაქცევა მოახერხა და მადრიდში დაასრულა სიცოცხლე (Wright 2010: 19). კულმესთან მოპოვებულმა უმნიშვნელო გამარჯვებამ პარიზსა და დანარჩენ საფრანგეთს სიხარულის საფუძველი მისცა. რა თქმა უნდა, ამ წარმატების ეფემერულობას თავად გამბეტა ხვდებოდა, მაგრამ ამას

მოქალაქეებისათვის ხელი არ შეუშლია ქალაქში გამოემზეურებინათ დროშები, გაემართათ ილუმინაციები და ამით საზეიმო განწყობა შეექმნათ. საკუთარი თვითრწმენის დაბრუნების თვალსაზრისით, უთუოდ დიდი მნიშვნელობისა იყო მსგავსი დამოკიდებულება, მაგრამ ამ ნაკლებად მნიშვნელოვანი გამარჯვებით ტკბობას არ უნდა შეექმნა საბოლოო გამარჯვების ილუზია. ფრანგული ისტორიული მეხსიერების გამოღვიძების მხრივ, ემოციების განსაკუთრებული მოზღვავება ფრანგული ჯარის მიერ ქალაქი ორლეანის აღებამ გამოიწვია. მწერალმა ანდრე მორუამ ამ წარმატების მთავარი შემოქმედი გამბეტა ჟანა დ'არკსაც კი შეადარა (Maurois 1949: 432). მართლაც, ფრანგებმა ვერ შეინარჩუნეს ორლეანი და დროებითი კონტრიერიში კვლავ თავდაცვამ შეცვალა. პრუსიელებმა მოახერხეს გამბეტასთვის ყველაზე საიმედო ლუარის არმიის ორ ნაწილად გახლეჩა (Wright 2010: 20), რამაც კიდევ უფრო დაასუსტა მათი თავდაცვისუნარიანობა. განცდილმა წარუმატებლობებმა ტურში მყოფ დელეგაციას უბიძგა ბორდოში გადასულიყო. იმავდროულად, პარიზში დროის სვლასთან ერთად ვითარება იძაბებოდა. ედუარდ მანე თავის ცოლს ატყობინებდა, რომ პარიზელები ძაღლებს, კატებსა და ვირთხებსაც ჭამდნენ (Ревалд 1959: 172). დამშეულმა მოქალაქეებმა ზოოპარკიც დააცარიელეს ცხოველებისაგან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბრძოლის გაგრძელების აზრი უპერსპექტივოდ მოჩანდა და მას ფრანგული საზოგადოების მხარდაჭერა აღარ ჰქონდა. მართალია, ლეონ გამბეტა არ უშინდებოდა უნუგეშობას და ქალაქებში ჯარის შეკრებისას თავისი სახელგანთქმული სიტყვით აცოცხლებდა ჩამქრალ პატრიოტულ მოტივებს, თუმცა პარიზში დავანებული უიმედობა გასაქანს აღარ აძლევდა. საფრანგეთის ბრძოლის გაგრძელების დამასამარებელი მოვლენები ახალი წლის იანვარში განვითარდა. 1871 წლის 18 იანვარს, ვერსალის სარკეებიან დარბაზში გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა, ხოლო 10 დღეში იმავე ადგილას, ჟიულ ფავრმა და ბისმარკმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც, ფაქტობრივად, იმეორებდა მათი პირველი შეხვედრის შედეგად როტშილდების ციხე-სიმაგრეში გაჟღერებულ მოთხოვნებს.[12] მართალია, მოლაპარაკებების უშუალო მონაწილე ჟიულ ფავრი იყო, თუმცა ამ შეთანხმების იდეის მედროშე ადოლფ ტიერი გახლდათ. ის ჯერ კიდევ 1870 წლის ნოემბრის დასაწყისში ლამობდა თანხმობის მიღწევას მომხდურებთან, რადგან იმედოვნებდა, რომ სამხედრო ფიასკოს პარალელურად საფრანგეთი ნაჩქარევი ზავით ნაკლებად დაზარალებული გამოვიდოდა, მაგრამ იმ პერიოდში მიღწეულმა მცირე წარმატებებმა ფრანგული მოსახლეობა რეალობის შეგრძნებას მოსწყვიტა და ომში გამარჯვებაზეც კი აალაპარაკა. ამრიგად, საბოლოოდ, ტიერის გამოცდილებამ და პრაგმატულმა პოლიტიკამ, მისმა ნაცადმა ორაკულურმა დასკვნებმა კვლავ გაამართლა. ბორდოში მყოფ გამბეტას ამ ზავმა გაღიზიანების ბევრი მიზეზი გაუჩინა. პირველი ის, რომ იგი არ იყო საქმის კურსში ზავის გაფორმებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მასში არსებული დეტალები მისთვის უცნობი გახლდათ. მეორე მხრივ, ის აღაშფოთა საფრანგეთის

[12] განსხვავება ის გახლდათ, რომ 6 მლრდ ფრანკის ნაცვლად საფრანგეთს 5 მლრდ ფრანკი ექნებოდა გადასახდელი. იმავდროულად, 1871 წლის 8 თებერვალს საფრანგეთში უნდა ჩატარებულიყო არჩევნები.

აღმოსავლეთის არმიის ზავში გაუთვალისწინებლობამ, რითაც ეს უკანასკნელი გერმანელთა ანაბარა აღმოჩნდა მიტოვებული. საბოლოოდ, ამ არმიის ნაწილები 1-ლი თებერვლისათვის შვეიცარიაში, ნეიტრალურ მიწაზე, გაიქცნენ (Wright 2010: 21). მესამე და, მიგვაჩნია, გადამწყვეტი მიზეზი ომის გაგრძელებასთან დაკავშირებული უთანხმოება იყო. გამბეტას უდავოდ სურდა დაუმორჩილებელი ბრძოლის გაგრძელება გერმანელთა წინააღმდეგ. ის მუხლჩაუხრელად აგრძელებდა არმიის შეკოწიწებას და გერმანელებისათვის დივერსიების მოწყობას. მას პროვინციებში და, უპირველეს ყოვლისა, ბორდოში ავტორიტეტიც ჰქონდა მოხვეჭილი, რის გამოც ცენტრალურ ხელისუფლებას ისეთ საკვანძო საკითხზე, როგორიც მოლაპარაკებების წარმოება იყო, გამბეტას თანადგომაც სჭირდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ეპუებოდა აღნიშნულ შეთანხმებას. სწორედ მის დასაშოშმინებლად ბორდოში დროებითმა მთავრობამ ჟიულ სიმონი მიავლინა. მემარცხენეთა ლიდერსა და გამბეტას შორის სერიოზული დავა არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ბორდოს დელეგაციის ხელმძღვანელი ითხოვდა 1851 წლის 2 დეკემბრიდან 1871 წლის 4 სექტემბრამდე მყოფ მინისტრებსა და ჩინოვნიკებს არ მისცემოდათ არჩევნებში პასიური უფლებით მონაწილეობის მიღების საშუალება (Daily News Correspondence 1871: 561). ამასთანავე, გამბეტა ილაშქრებდა არჩევნების გამართვის წინააღმდეგ იმ პერიოდში, როცა ქვეყნის საკმაოდ დიდ ნაწილს გერმანელები აკონტროლებდნენ, ხოლო ამომრჩეველთა სოლიდური ჯგუფი ტყვედ იყო ჩავარდნილი. ბისმარკმა არ დაუშვა გამბეტას შეთავაზებული აკრძალვა. ჩანს, გერმანიის იმპერიის კანცლერი ცდილობდა კიდევ უფრო მეტად დაექსაქსა ფრანგთა ძალები. მიუხედავად გამბეტას მსგავსი იდეური წინააღმდეგობებისა, იგი მაინც დაჰყაბულდა დროებითი მთავრობის ნებას. მან არ გაამართლა მტრის მოლოდინები და დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებების მიღმა არ უმოქმედია, თუმცა მას ამისი შესაძლებლობა სრულიად ჰქონდა. როგორც მისი თანამებრძოლი ფრეისინე მემუარებში წერდა, გამბეტას მიერ მოხვეჭილი ავტორიტეტი სრულიად მისცემდა ამ ახალგაზრდა ტრიბუნს სურვილის შემთხვევაში დიქტატორული უფლებამოსილებებით აღჭურვილიყო (Maurois 1949: 435). როგორც ჩანს, გამბეტასთვის უმთავრესი სახელმწიფო ინტერესები იყო და არა პირადი განდიდება. მოწინააღმდეგე არმიის გენერალმა, მოლტკემ, გამბეტას შრომა შემდეგნაირად შეაფასა: „სამართლიანად უნდა ვაღიაროთ ამ ქვეყნის ამოუწურავი შესაძლებლობები და ფრანგების პატრიოტიზმი. მას შემდეგ, რაც მთელი ფრანგული არმია ტყვეობაში აღმოჩნდა, საფრანგეთმა ძალიან მოკლე დროში შეძლო ახალი ჯარის შექმნა პროვინციებში... ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე ის, რომელიც განადგურდა“ (Maurois 1949: 435-436).

აღსანიშნავია, რომ ამაღლებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ქართული თანადროული პრესა ფრანგი რესპუბლიკელების მიმართ. გაზეთი „დროება“, რომელიც მაღალი ინტენსივობით აწვდიდა ცნობებს ქართველ მკითხველს საფრანგეთ-პრუსიის ომის შესახებ, ფრანგი მებრძოლების წარუმატებლობებს გულისწყვეტით იუწყებოდა. მიგვაჩნია, „დროების“ სარედაქციო ჯგუფი რესპუბლიკურ იდეებს იზიარებდა და, შესაბამისად, მათი სიმპათია არა რომელიმე მეომარი ქვეყნის, არამედ მმართველობითი სისტემის მიმართ მჟღავნდებო-

და. გაზეთში გამოხატული იყო მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება იმპერატორის ხელისუფლებისადმი და ხაზს უსვამდა იმ მძიმე მემკვიდრეობაზე, რომელიც 1870 წლის 4 სექტემბრის მთავრობას ერგო. ძველი რეჟიმი საკუთარი მოქალაქეების მიმართ ინფორმაციულ ომს აწარმოებდა და ფრონტის ხაზიდან მოსულ შემზარავ ცნობებს წარმატებად ასაღებდა (პარიჟის რევოლუცია 1870: 1). უფრო მეტიც, ლეონ გამბეტა, რომელიც უმეტესწილად დადებითი კონტექსტით მოიხსენიება „დროების" ფურცლებზე, სტატიის ავტორის აზრით, „ამ ომის დროს, მისი მოქმედება განსაკუთრებით ძაბუნი და დაუდეგარი იყო" (საფრანგეთის ახალი მმართველობა 1870: 2), რადგან ომის საწყის ეტაპზე მან ხელისუფლების კრიტიკას მორატორიუმი გამოუცხადა. მიუხედავად ამისა, სხვა ნომრებში გამბეტათი ქართველი პუბლიცისტები აღფრთოვანებას ვერ მალავენ. ისინი გამოყოფდნენ ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის ჩინებულ ორგანიზატორულ თვისებებს, რომლებიც ქ. ტურში პროვინციული არმიის ფორმირების დროს გამოამჟღავნა (ომის ამბები 1870: 1). გაზეთის სულისჩამდგმელები ფრანგი რესპუბლიკის მამამთავრის მიმართ პირად მიმოწერაშიც არ იშურებენ საქებარ სიტყვებს. 1873 წლის 8 დეკემბრის წერილით სერგეი მესხი პარიზიდან კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „თქვენ რომ აქ მყოლოდი[თ], სხვა არა იყოს, გამბეტტას მაინც დავსვამდით პრეზიდენტად" (აბრამიშვილი 1981: 161). წერილში გაჟღერებული ფრაზა ნათელს ჰფენს მესხის რესპუბლიკურ შეხედულებებს. იგი ზომიერი სარკაზმით აქილიკებს საფრანგეთის პრეზიდენტად იმპერიის დროინდელი გენერლისა და ჩინოვნიკის არჩევას. ამასთანავე, ამ ერთ წინადადებაშიც იგრძნობა გამბეტას არ არჩევით გამოწვეული გულისწყვეტა. გამბეტა არა მარტო რესპუბლიკურ იდეალებს განასახიერებდა, არამედ ის იყო ლიდერი განმათავისუფლებლური ბრძოლისა, რომლის მხარდაჭერაც ირიბ მოწოდებას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ მყოფი ქართველი ერისათვის. ზოგადად, დასახელებული პერიოდი „თერგდალეულთა" აქტიური მოღვაწეობის ეტაპია, რომლის დამახასიათებელ ნიშასაც ევროპაში ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლთა გაიდეალება წარმოადგენდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ილია ჭავჭავაძის ლექსი – „მესმის, მესმის", რომელიც მწერალმა „რისორჯიმენტოს" ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას, ჯუზეპე გარიბალდის, მიუძღვნა. აქედან გამომდინარე, უცნაურად არ მოჩანს ის, რომ „დროება" ტურში გამბეტასა და გარიბალდის საერთო გამოსვლას ხალხის წინაშე დიდ ყურადღებას უთმობს (ომის ამბები 1870: 1) და ამით ქართველ მკითხველს ეროვნულ გრძნობებს უღვიძებს. ეჭვს არ იწვევს, რომ ამავე მიზეზით შეხვდა გაზეთის სარედაქციო კოლეგია გამბეტას გარდაცვალებას დიდი ნაღველით: „გამბეტტას დაკარგვა არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელს ევროპას დაეტყობა" (უცხოეთი 1882: 3). ეს სიტყვები ადასტურებს რაოდენ დიდ პოლიტიკოსად წარმოედგინათ გამბეტა.

საინტერესოა, რომ „დროება" ნაციონალური მისიის შესრულების გარდა, პრაქტიკულად ყოველდღიურად გადმოსცემდა ომის ამბებს და მკითხველისთვის დასავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენების სურათის აღდგენას საზღვარგარეთული პრესისა და უახლესი ტელეგრამების გაშუქებით

ცდილობდა. ქართველი ჟურნალისტები ბრწყინვალედ იყვნენ ინფორმირებულნი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ამბებით და საკუთარ ანალიზსაც გვთავაზობდნენ. მართალია, მათ სხვათა მსგავსად, რასაკვირველია, სუბიექტურ ჭრილში აქვთ განსაზღვრული სარედაქციო პოლიტიკის ვექტორები, თუმცა პუბლიცისტები მაქსიმალურად ერიდებიან ფაქტების მიზანმიმართულად შეცვლას. „დროების“ სამუშაო ჯგუფს შესანიშნავად მოეხსენება იმპერიული მთავრობის მცდელობები დამახინჯებული ცნობებით გაამრუდოს რეალობა. ზემოთ ვახსენეთ პალიკაოს გრაფის ცრუ ინფორმაციაზე აგებული დეკლარაცია, რომელიც არ რჩება ქართული პრესის ყურადღების მიღმა: „ნაპოლეონის უკანასკნელი სამინისტრო ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ოღონდ კი ხალხში მართალი ამბავი არ გაევრცელებია“ (პარიჟის რევოლუცია 1870: 1). ბუნებრივია, ამ ფაქტების დაბეჭდვის შემდეგ წარმოუდგენელია გაზეთის მესვეურები სიმპათიით განწყობილიყვნენ იმპერიის მიმართ, მეტადრე, ლუი-ნაპოლეონის ოპოზიციისადმი მათ სიმპათიებს სუბიექტური საფუძველიც ასაზრდოებდა. წინამდებარე სტატიისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ქართული გაზეთი აქცენტებს სვამს ბრძოლის გაგრძელების განსხვავებულ მიდგომებზეც. „დროების“ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ ტიერის ევროპული ვოიაჟი წარუმატებლად დასრულდა და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ფრანგი პოლიტიკოსის პეტერბურგში ყოფნის დეტალები. სახელდობრ, გორჩაკოვმა ტიერს სთხოვა „გერმანიასთან მორიგება ურჩიოს დროებით მმართველობას, თუნდ რომ ეს მორიგება ძვირათაც დაუჯდეს საფრანგეთსო“ (ომის ამბები 1870: 1). სწორედ დიპლომატიური ზონდაჟის შემდგომ გააჟღერებს ადოლფ ტიერი ომის დასრულების აზრს, რასაც საწყის ეტაპზე დროებითი მთავრობის სრული შემადგენლობა არ დაეთანხმება. პარიზის ალყის გახანგრძლივების შემდგომ კი, მხოლოდ და მხოლოდ გამბეტა აღმოჩნდა წინააღმდეგი. აშკარაა, ტიერს ნიადაგის მოსინჯვა დასჭირდა თავისი არაპოპულარული პოზიციის გასახმიანებლად, რასაც ლუარის არმიის მარცხი და ორლეანის ხელახალი დაკარგვაც დაერთო თან. აღნიშნული არ გამოჰპარვია ქართული პრესის თვალსაწიერს. ეს ცნობა მათ დაინტერესებულ პირებს არა უკონტექსტოდ, არამედ შესაბამის დროს მიაწოდეს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმზე.

დასასრულ, შევაფასოთ ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა, რომლის ორ მთავარ ღერძს ადოლფ ტიერი და ლეონ გამბეტა წარმოადგენდნენ. პირველი მათგანი ცივი გონებით, უკიდურესად პრაგმატულად აფასებდა მოვლენებს და რევანშის აღებას პრუსიისადმი მოგვიანო პერიოდში სახავდა. მისი პოლიტიკის გამჭრიახობა, მიგვაჩნია, ფრანგმა ერმა ყველაზე უკეთ შეიცნო, როდესაც ის 1871 წლის 8 თებერვლის არჩევნებში ერთდროულად რამდენიმე ათეულ პროვინციაში იქნა არჩეული. ამ ფაქტის შემდგომ კი, სრულიად წარმოუდგენელი იყო ის პრეზიდენტად არ გაეწესებინათ. მეორე მხრივ, გამბეტას პოლიტიკა დაფუძნებული იყო რადიკალური პატრიოტიზმის მორალზე, რომელიც დანებების საშუალებას არ იძლეოდა. მართალია, მრავალთა მოსაზრებით, მისი ქმედებები სამშობლოს სიყვარულით ნაკარნახევი საკუთარი შესაძლებლობების

რომანტიზება გახლდათ, თუმცა მან ფრანგული ეროვნული სულისკვეთების აღმავლობასა და ახლადჩამოყალიბებული რესპუბლიკის ქმნადობაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ფელდმარშალმა ფონ დერ გოლცმა, რომელმაც წიგნიც კი მიუძღვნა გამბეტას,[13] ასეთნაირად შეამკო ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის სულისჩამდგმელის ღვაწლი: „ისტორიამ უნდა აღიაროს გამბეტას ორი უდავო დამსახურება, რომლებიც საუკუნო დიდებით მოსავს მის ხსოვნას. პირველი – დაუნდობელი მარცხის კვალდაკვალ მან საფრანგეთს დაუბრუნა საკუთარი ძალების რწმენა; მეორე – მან საფრანგეთს გაუხსნა გზა სულიერი აღდგომისაკენ“ (Maurois 1949: 436).

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **კისინჯერი 2021:** კისინჯერი ჰენრი, დიპლომატია, მთარგმნელი: გიორგი ბადრიძე, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2021;
- **პაპასქირი 2009:** პაპასქირი თეიმურაზ, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2009;
- **თვალავაძე 2006:** თვალავაძე ვაჟა, ახალი ისტორია 1815-1870 წლები, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2006;
- **შარაშენიძე 2013:** შარაშენიძე თორნიკე, დიპლომატიის ისტორია. მე-19 საუკუნე, თბილისი, სულაკაურის გამომცემლობა, 2014;
- **აბრამიშვილი 1981:** აბრამიშვილი ელისო, მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა), თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1981;
- **პარიჟის რევოლუცია 1870:** პარიჟის რევოლუცია, გაზეთი „დროება“, 1870, 4 სექტემბერი, №35;
- **საფრანგეთის ახალი მმართველობა 1870:** საფრანგეთის ახალი მმართველობა, გაზეთი „დროება“, 1870, 4 სექტემბერი, №35;
- **ომის ამბები 1870:** ომის ამბები, გაზეთი „დროება“, 1870, 16 ოქტომბერი, №41;
- **უცხოეთი 1882:** უცხოეთი, გაზეთი „დროება“, 1882, 25 დეკემბერი, №271;
- **Wawro 2003:** Wawro Geoffrey, The Franco-Prussian war. The german Conquest of France in 1870-1871, New York, Cambrige Univercity Press, 2003;
- **Wright 2010:** Wright C. H. C., A History of the Third French Republic, BOSTON AND NEW YORK HOUGHTON MIFFLIN COMPANY, 2010.
  ხელმისაწვდომია: https://www.gutenberg.org/cache/epub/32715/pg32715-images.html
  (ბოლოს დამოწმებულია: 20.11.2022);
- **Busch 1879**: Busch Moritz, Bismark in the Franco-German war 1870-1871, New York, University of Pittsburg Library System, 1879
  ხელმისაწვდომია: https://archive.org/details/bismarckinfranco01busc/page/153/mode/2up
  (ბოლოს დამოწმებულია: 20.11.2022);

[13] წიგნის სახელწოდება: “Leon Gambetta und seine Armeen”.

- **Maurois 1949:** Maurois Andre, A History of France, London, Alden Press, 1949 ხელმისაწვდომია: https://archive.org/details/AHistoryOfFrance/page/n3/mode/2up (ბოლოს დამოწმებულია: 20.11.2022);
- **Mommsen 1966:** Mommsen Wilhelm, Bismarck, Hamburg, Rowohlt, 1966;
- **Daily News Correspondence 1871:** The Daily News Correspondence of the war between Germany and France 1870-1871, London, Macmillan and CO. 1871;
- **Ревалд 1959:** Ревалд Джон, История Импрессионизма, Ленинград, Государственное Издательство, 1959;
- **Антюхина-Московченко 1986:** Антюхина-Московченко В. И., Третья Республика во Фванций 1870-1918, Москва, Мысль, 1986.

Nikoloz Kajaia
BA Program in History, TSU

THE COLLAPSE OF THE SECOND EMPIRE ADOLPHE THIERRY AND LEON MICHEL GAMBETTA – TWO WAYS OF RESISTANCE (SUMMARY)

There is no doubt that the Franco-Prussian War of 1870-1871 is the stimulation for important transformations in French history. The fatal consequences of the above-mentioned military conflict was caused, on the one hand, by the arrogance shown by the Second Empire in the international relations and, on the other hand, by the reactionary policy of the government in the domestic affairs so the country. Despite the complete military defeat of France, the aforementioned conflict laid the foundations of the state, on which modern France emerged. For the French nation the defeat against the principle opponent resulted in not only a sense of revanchism based on solely emotions, but also encouraged them to take pragmatic measures, which, along with the return of confiscated territories and the restoration of lost prestige, put France back on the political map of important states. We believe that the main creators of the above result, along with other teammates, were Adolphe Thierry and Leon Michel Gambetta. Hence, their ways were quite different in terms of methods, but of course this did not prevent them from achieving the common goal. The purpose of this article is to underline the main reasons that led the Bonapartist regime to the huge political and military fiasco and, simultaneously, to indicate the model of republican resistance to the war under the Second Empire. We consider that the introduction of Georgian topics will diversify the article. Also, the readers will find it interesting to realise what kind of editorial policy the Georgian press had on the Franco-Prussian war and the leaders of the new republic.